# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

**,,თეატრი და ცხოვრება''**

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილი.

1919 წ. № 7 კვირა თიბათვის 15 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა




**მსახიობქალი ნინო ჩხეიძე**
სასცენო მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო,—იუბილე გაუმართეს, მთავრობამ დააჯილდოვა.



**საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისსია უკრ ინაში**
სხედან მ. ი. სკობელევი, ს. ს. ასათიანი, ბ. ვ. თებზაია, მ. ე. ბიბინეიშვილი, ა. ო. სვანიძე; დგანან ა. კ. კარპოვიჩი, ნ. ს. ზრეგვაძე, გ. თ. მაჭაცარია.

# ველი რსეთ

ნამდვილი მზიანი დღე თუ როდისმე გათენებია ქართველს, ეს იყო მაისის 26 საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე.

მართალია ბევრნი იგონებდენ თამარის ბრწყინვალე ხანას, მაგრამ შედარებაც არ შეიძლება: მაშინ თუ საქართველო მოილხენდა მოწინავე წოდების სახით, მეფის თვითმპყრობულურ სიამაყით აღტაცებული, დღეს მოილხენდა მთელი ერი, მთელი ხალხი თვითგამეფებული..

ამ დღეს გამომზეურდა ქართვლის სულიერი და სხეულებრივი დაფარულ ძალთა დიადობა, მრავალფერადობა.. გარეგნობა და შინაგნობა, შემოქმედება და საქმიანობა.. ძალთა ერთსულოვანი.

და ურწმუნო თომანიც კი დარწმუნდენ, რომ საქართველოს თავისუფლების მზე ამობრწყინდა და მრავალ მტერთა აშკარა თუ ჩუმი მუქარა ველარ დააბნელებს..

თითქო თვით ბუნებაც ადასტურებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას.

გასაოცარი იყო ამ დღეს ორი მოვლენა

პირველი—როდესაც სამხედრო ტაძრის ეზოში საქართველოს ჯარის თანადასწრებით ლეონიდ კათალიკოსი პარაკლისს იხდიდა, დაახლოვებით დილის 11 საათზე სასახლის ასწვრივ მზეს ირგვლივ გვირგვინი შემოერტყა, სამფეროვანი ცისარტყელისებური შუქითა, რაიცა საერთოდ გამოდარებას მოასწავებს, ხოლო მეორე—3 კეზე, მეოთხე საათზე ჩრდილოეთი-გამოჩნდა ვეება. შავი ღრუბლის სვეტი რომელიც საზეიმო მოედნისკენ ნელ მოიწევდა, მაგრამ ვერის ხევხუევებს მოუახლოვდა თუ არა, გაცრიავდა, გათ ელდა და მცირე შხაპუნა წვიმად გადიქროლა.. ზიანი ვერ მოგვაყენა!..

—აგვცდა, აგვცდა ჩრდილოეთის ხიფათი!—შესძახეს

დიახ, ეს სიმბოლო კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ თუ ქართველი ერი მუდამ ასე გაერთსულოვანებული იქნება, ვერავითარი გარეშე ძალა მას ვერ დაიმორჩილებს...

და ნუმცა მოიშლება ქართველთა მეხსიერებაში მაისის 26 და მისი შინაარსის დიადობა!

**იოსებ იმედაშვილი**

# სამეცნიერო თვალსეირი

სხვა სახელი ვერ მიწოდებია იმ გამოგონებისთვის, კინემატოგრაფს რომ ეძახიან. იგია ადამიანის გონება-ზნეობით განვითარების ერთი საუკეთესო და უებარი საშუალებათაგანი..

წაუკითხავად, შორს წაუსვლელად ეცნობი მთელი მსოფლიოს სხვადასხვაობას და ადამიანთა სულისკვეთებას

ასეთი გამოგონებ. წინათ თუ მხოლოთ უცხო ქვეყნათა ყოფა—ცხოვრებას გვაცნობდა, ამიერიდან თვით ჩვენი ყოფა—ცხოვრება შეგვიძლიან ამით აღვბეჭდოთ და დავინახოთ დავინახოთ არა თუ ჩვენ, დავანახოთ სხვათაც. უცხო ქვეყნებს გავაცნოთ საქართველო ყოველ მხრივ.

აღსრულდა ჩვენი ეოწოდება:

გამოჩნდა თავგამოდებული კაცი, ვინც ეს საქმე აკისრა და განახორციელა კიდეც. ეს არის გერმანე გოგიტიძე, პროვინციურ თეატრის ერთი მუშაკთაგანი, რომელმაც დიდი უნარი გამოიჩინა ამ საქმის.

მან კინემატოგრაფის ლენტზე გადაიღო ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე" სახალხო გვარდიის დღესასწაულ თბილისში და სხ. მისი მარჯვენა ხელია ამ საქმეში ხელოვანი რეჟისორი ა. წუწუნავა.

ეს ლენტები უკვე ვნახეთ და სიამაყით აღვივსენით..

ეხლა ეს ლენტები შეიძინა ქართული ლატარიის დირექტორმა სოლ. ახვლედიანმა, რომელსაც განუზრახავს მთელ საქართველო მოვლოს და ყველგან ხალხს აჩვენოს და ნამდვილი სამეცნიერო თვალსეირიც ეს იქნება ჩვენის ხალხისა,

შემდეგ განზრახულია ეს ლენტები ევროპას გაიგზავნოს საზოგადოების საჩვენებლად; დაე ევროპამ დაინახოს, თვალდათვალ განცადოს ეს პაწაწინა საქართველო როგორ ცხოვრობს და აღორძინების გზით წინ როგორ მიდის!

მაგრამ მარტოკა ამაზე არ უნდა შეჩერდეს ამ ახალი საქმის მესვეურთა მოღვაწეობა: საჭიროა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის, ისტორიის და ცნობილ ნაწარმოებთა დასურათხატება ჩვენს ერში და ევროპაში მოსაფენად..

დაე, გზა ვარდებითამც მოეფინოთ ამ ახალი გამოგონების—სამეცნიერო თვალსეირის—მესვეურთა მოღვაწეობას!..

**იოსებ არიმათიელი**

# ლოთი მაყარი

(რომანი მინიატიურებით)

### ნაწილი 1

ამბავი.

ღამის დუმილს ყურს უგდებდა მგოსანი ფრთხილად, ქაღალდის მკერდზე შავ სტრიქონებს ანთხევდა ცრემლად, კალმის წრიპინი გაისმოდა იდუმალ კვნესად.

მრავალ სტრიქონებს გადააკვლა შავი ხაზები, მრავალი გრძნობა იმ ხაზებში ჩაიფერფლა ვნების ალმგზნები.

ალბათ მგოსანი საიდუმლოს ვერ აქვეყნებდა და წანაშალით გამოუთქმელ ფიქრებსა კლავდა.

წანაშალთ შორის მაინც დარჩა ეს ამბავი, ვით ზღაპარი იდუმალ გრძნების.

ქორწილი

აკვნესდა ზურნა...
დედოფლის სახე გაფითრდა ისე ვით მოგონება, სასიძოს ბაგეთ გადააკვდი სიყმაწვილის განცდათა წუთნი.

მაყრიონი გოდებით მოსთქვამს ნაანდერძევ ძველ საგალობლებს..

დაკვნესის ზურნა.

ქალწულება სანთელივით დნება და დნება, სიყმაწვილეც მასთან ერთად ეთხოვება ლამაზ შაირებს.

ტოლუმბაშის გადაკოცნა აჩატებს ყანწებს, მერიქიფენი აზარფეშებს უვსებენ ლოთებს
და კვნესის ზურნა.

ქორწინება აფერმკრთალებს ნორჩ სიყმაწვილეს, ქორწინება ასამარებს ნაზ სიქალწულეს
და კვნესის ზურნა,

მანანა

დედოფალო! შენს მეგობრებს რაღა აცელქებს?
ვნების დუღილში რად აწრთობენ ნეტავ ძმადეებს?

დედოფალო! მაყარიანი სამიონბოს გაგიღებს კარებს, მორცხვი სიძე იქ შეგიხსნის შენ ლიფის ღილებს. სასთუმლის კიდეს შეგისწორებს ცელქი მანანა და სიძეს ეტყვის: ჰა, გაბარებ მესაიდუმლეს, მე კი წავალ და ვნებით დავწვავ იმ შენს მორცხვ ძმადეს, სუფრის ბოლოს რომ მიდარაჯებს.

დედოფალო! ქორწილის შემდეგ ცელქი მანანა ბევრს ივალალებს, ბევრი ცრემლები ჩამოსწყდება მის ცისფერ თვალებს.

ლოთი მაყარი

—ხედავ! ყველანი აიშალენ, ჩვენს თამადას ვერავინ დასძლევს.

—აი იქ რომ ზის ის მეტსაც დალევს.

—კიდევ ყანწით სვამს? ნეტავ ვინ არის? მოხუცთ შორის რისთვის ჩამჯდარა? ჯერ ყმაწვილია და სახეზე კი ჩამომჭკნარა.

—ნუ მიაქცევ მას ყურადღებას.

—სთხოვე მოვიდეს, ჩვენთან დაჯდეს, ჩვენთან ილხინოს.

—მანანა! მისი გაცნობა არ გაგახარებს, მის სიახლოვეს მხოლოდ ცივი სუნთქვა იფარებს.

—აჰ, კიდევ სვამს, სთხოვე მოვიდეს.

—ღვთის გულისთვის დაეხსენ იმ ლოთს

—სთხოვე მოვიდეს.

. . . . . . . . . . . .

—რადა სვამთ ამდენს? თქვენი სახელი?

—სახელის ნაცვლად გთხოვ მიწოდო ლოთი მაყარი.

ლხინის დასასრულს.

მოთენთილ მაყრებს ერეკება გარეთ მძახალი, და ზურნაც კვნესით ადასტურებს ლხინის დასასრულს.

დედოფალი გააცილებს წამავალ სტუმრებს.

მოწყენილება დაემჩნევა მანანას თვალებს

—რამ დაგაღონა? თუ ასე გწყინს დავიტოვებ დაიკო ძმადეს.

—ძმადე წავიდეს, ოღონდ დარჩეს ლოთი მაყარი.

—რომელია აბა მითხარი?

ვეღარსად ნახეს, მალულად თურმე გაპარულა ლოთი მაყარი.

### ნაწილი 2

მხედარი

მწველი მზის სხივნი მოლურჯო ჩრდილს აციმციმებს ცისფერ თვალებში, რომელნიც აივნიდან გადასცქერიან შორეულ მთების თეთრ მუზარადებს.

შორს, შორს გზაზე ვიღაც მხედარი მიაქენებს თავის ლურჯა ცხენს, მაგრამ მანანა იმას ვერ ამჩნევს; მისი ფიქრები შორეულ მთებს შეუბოჭია. ყური მოჰკრა ცხენის თქარა-თქურს.

—სალამი!

—ახ! ეს ვინ არი? საით მიდიხართ?

—მინდა ვესტუმრო შორეულ სოფლებს. იყავ მშვიდობით.

ვიდრე მანანა გონს მოვიდოდა, ლოთი მაყარი მტვრიან გზაზე აღარც კი სჩანდა.

სიზმარი

მთვარე დასცინის მის მძინარ სახეს..

გული მკერდში მძინარ ქალწულს ასე რად უძგერს?

ხშირი სუნთქვა მის ნესტოებს რისთვის ათრთოლებს?

სიზმრები სტანჯავს

ჯერ უმანკოს, ჯერეთ უცოდველს. უცხო მხედარი, ლოთი მაყარი მას ელანდება.

—ნუ მიცქერ ასე ჟინიან ვნებით მე განაწამებს, თორემ ვფიცავარ ავაცრემლებ მაგ ცის ფერ თვალებს, ხშირი წამწამნი რომ უდარაჯებს.

—მსურს გამოგტაცო ლოთ ამხანაგებს, მსურს შევაჩერო შენი ლურჯა უცნობ სოფლისკენ რომ მიგაქანებს.

—ჩემთან თამაში არ გარგებს ქალო.

და უცხო ვაჟი გვერდს ჩაეკრა ვით ბასრი დანა.

შეკრთა, შეშინდა, გაახილა თვალი მძინარმა, და მთვარე ვნებით ჩაეკონა მის ცისფერ თვალებს.

## უცხო ქვითინი

მწველი ფიქრები წყაროს დუმილს რად ჩაკვდომია?

ნაზი ცრემლები წვრილ ქვიშის მკერდს რას ჩაჩურჩულებს?

ვის ელოდები, ამ გზის პირად რომ ალამებ ზაფხულის დღეებს?

იგი მხედარი დაიგვიანებს.

მანანა! სევდას დაუცხრილავს ეგ შენი სახე, შენს ცისფერ თვალებს, ცისფერი ზოლი ასევდიანებს.

ვინ დაგიჯერებს რომ ლოთი მაყრის მოგონება ასე გაწამებს, შენს უცხო ქვითინს ვინ გაიგონებს.

დაივიწყე!

თორემ ეგ ტანჯვა ცისფერ თვალებს გაგიფერმკრთალებს.

## ქალაქისკენ

დასტოვა ლურჯად ნაქარგი მიდ მოები, დასტოვა ვერცხლის მძივებით მსხვრეული წყარო, გასცილდა სოფელს.

მატარებელი ქალაქისკენ მას მიაქანებს. ქალაქი სავსეა უცნაურ შემთხვევებით, გამოუცნობი საიდუმლოებანი ქარგავს ქალაქის ქუჩებს.

ვის არ შეხვდები იქ!

ის კი მხოლოდ ერთს ეძებს, და მრავალთ შორის მხოლოდ ერთს, ერთს მის სანატრელს, მის სასურველს თვალს ვერ მოავლებს?

მატარებლის ფანჯარიდან გასცქერს ქალაქებს, გვერდით მჯდომ მგზავრს ყურადღებას რისთვის არ აქცევს?

გვერდით გიზის ვისაც დაეძებ.

ნუ თუ ვერა გრძნობ ჟინიან ვნებით შემოსცქერის შენს ცისფერ თვალებს.

დაინახა!

გული უღონდება.

## უკანასკნელად

მუსიკა ათრთობს ფოთლების შრიალს, მთვარე ატირებს ტოტების ლანდებს.

ცისფერ თვალება თვის თანამგზავრს ეჩურჩულება უცნაურ ამბებს.

—გიყვარდა ვინმე!

—ვინ არ მიყვარდა.

—ეხლა.

—სიყვარულის განვლო წუთებმა, დაცხრილულ სულში ის ვეღარ ილხენს.

დუმილი

—დღეს მე სამუდამოთ ვეთხოვები სამშობლოს საზღვრებს, ვემშვიდობები ნაცნობ სახეებს.

—ახ! ეს საშინელებაა ბედი ასე ვით გამიმეტებს? რა საშინელება ჰკივის შენს ხმებში.

და აწვიმდა ხშირ წამწამებში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

* *
*

დავგმე, უარვჰყავ სამუდამოდ ადამიანი,
და სახე მისი საზიზღარი, ნიღაბიანი,
გველური ენა სულ-გულ მკვლელი გესლშხამიანი
სიმართლის მკვლელი, მოღალატე, ხელ-სისხლიანი...
მძულს, მეზიზღება მისი საქმე და მოქმედება,
შენს პურმარილში შენვე გყიდის, შენს შორში კვდება,
დღეს შენი არის, ხვალ გლალატობს სხვისკენ იხრება,
ვინც ოქროს მისცემს, შეისყიდის მისი იქნება.
ოქროში ყიდის თავის ნამუსს, თავის ღირსებას,
მიძმის ღალატში უნამუსოდ ეძებს დიდებას,
სძინავს თუ ღვიძავს თაყვანსა სცემსს ოქრო-ქონებას
და ფულში ყიდის თავის ნამუსს თავის ღირსებას.
დავგმე. უარჰვყე სამუდამოდ ადამიანი
და მისი სახე უნამუსო ნიღაბიანი;
გველური ენა სულ-გულ მკვლელი გველშხამიანი
სამართლის მკვლელი მოღალატე, ხელ-სისხლიანი...

ანტუშა

# განახლებული სიცოცხლე

რ ო მ ა ნ ი

ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 6)

### უპურმარილონი

გენერალ წულიკიძეს წინ მაგიდაზე ეყარა სხვა და სხვა დროს მოსული მოხსენებანი, რუქები თუ ქაღალდები. ყოველივე აღგზნებულის გრძნობით ათვალიერებდა და საჭიროების დროს საბუთად უყენებდა სომეხთა სოფლებიდან მოსულ წარმომადგენლებს. საბუთები-კი ბევრზე ბევრი იყო: 1918 წ. გიორგობისთვის ბოლო რიცხვებიდან ქრისტეშობისთვის შვიდამდე სად. სანაინზე გაიარა ოსმალთა რავდენიმე მატარებელმა, სხვა და სხვა იარაღით, ტანისამოსით და სამხედრო მასალით დატვირთულმა. გენერალის ბრძანებით საბაჟოს უფროსმა ეს მატარებლები დააკავა, საქართველოს უმაღლესი მთავრობის ბრძანებით ისევე გაუშვეს. აშკარად სჩანდა, რომ ეს ტანისამოსი და იარაღი ოსმალებს სომხებისთვის მიეყიდნათ ქართველთა საწინაალმდეგოდ. სად. კალაგერან-ყარაქლისს შორის სომხებმა გაცარცვეს ოსმალთა 8 ვაგონი, იარაღით და სურსათ-სანოვაგით დატვირთული. გამოირკვა, რომ ნაყიდ-ნაცარცვ იარაღ-ტანისამოსს სომხები ქართველთა წინააღმდეგ აგროვებდნენ ქრისტიშობისთვის პირველი რიცხვებიდანვე შენიშნეს, რომ თბილისიდან დიდძალი ახალგაზდა სომხობა, უმთავრესად ჯარში ნამსახური, სათათარიგონი, ერევნისკენ, მიდიოდა სხვა და სხვა საბაბით, რის გამოც გენ. წულუკიძემ სანაინის კომენდანტს პოდპორუჩიკ მაჭავარიანს უბრძანა: საეჭვო პირნი არ გაუშვაო ამ გარემოებამ გამოიწვია სომეხთა საჩივარი ,,უსამართლოდ გვეპყრობიან, როგორი დემოკრატიული რესპუბლიკა და თავისუფლებაა, თუ თავისუფლად მოძრაობის ნებას არ მოგვცემენო.'' საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ გენერალს უბრძანა: მგზავრებს შეღავათი მიეცითო... მაგრამ სომეხთა მოძრაობა იმდენად საეჭვო იყო არც თუ ისე მტკიცედ ასრულებდა ბრძანებას, სომხებს მაინც გენერალი სჩხრეკდა. ამავე ქრისტეშობისთვის 1 სადგურ სანაინზე გაირა თბილისიდან გახიზნულმა სომეხთა ჯარის ეშელონმა. ამ ეშელონს საქართველოს სამხედრო სამინისტროსგან ნება ჰქონდა, გაეტარებინათ 129 თოფი, თითო 30 პატრონათი და 500 ფუთი ლობიო. როცა მ. ტარებელი გაჩხრიკეს, აღმოჩნდა ერთი ტყვიის მფრქველი, მატარებელის საქარეებში, ფეხისალაგებში და სხვაგან გადამალული დიდძალი რევოლვერი და სხ. ხოლო საქონლის ვაგონი წესისამებრ ბეჭედ დასმული იყო არა საქართველოს საბაჟოს ბეჭდით, არამედ სომხეთის მისიის—მიერ. აშკარა ავაზაკობაზე დაჭერილ სომხის ჯარის ნაწილს და მისს უფროსს ყოველივე ზედმეტი ჩამოერთვა. გამტკნარებული სომხები სანაინს გასცდენ ისეთივე საიდუმლო მუქარით, როგორითაც თბილისის სადგურზე აშკარად მიმართეს გარშემოხვეულ ცნობისმოყვარე ქართველ მოსამსახურეთა მანდილოსნებსა და ბავშვებს: „დაგვაცათ ქართველებო ერთი ერევანში ჩავიდეთ, გიჩვენებთ სეირს! ნახავთ ქ. თბილისს სამ დღეში ავიღებთ თუ არა, ჯერ კი იქეიფეთო!'' არა ნაკლებ მრავალმეტყველი იყო სამაზრო კომისარის ლანდიას მოხსენება, რომელიც სწერდა: „ს. ვარანცოვკაში მცხოვრები ბეითალი სამსონოვი მცხოვრებთ რუსეთისა და სომხეთის ქვეშერდომებათა სწერს, ხალხს უქადაგებს საქართველოს ჩამოეცალეთ და რუსეთ-სომხეთს შეუერთდითო'' იმავე ვარანცოვკის რაზმის უფროსი ციციშვილი იტყობინებოდა: „ჯალალოღლის მარცხნივ, 4771 სიმაღლეზე სომხებმა სანგარი გამართეს'' ამასთანვე უტყუარ ცნობებით მალე შეიტყო, რომ მეამბოხე სომეხთ პოლკოვ. ტერნიკგოსოვი ხელმძღვანელობდა.. ყოველივე ზემოხსენებულმა ელვის სისწრაფით გაურბინა გენერალს გონებისთავალთა წინაშე და მოციქულთ გადმოუღლაგა:

—აჰა, აი, ყოველივე ეს სიცრუეა თუ ვერაგობა, გაუტანლობა თუ ბოროტება?—შეეკითხა გენერალი მოციქულებს. აი, ეს დეპეშაც: ,,საშკა, მეომარი ხალხი დროით იშოვეთ იარაღი—რამდენიც გენებოთ!! მერე იცით ვინ არის ეს საშკა?—ჰკითხა გენერალმა და თითონვე მიუგო: სოფელი უზუნლიარი,..

—რა ბძანეთ?

—როგორ?! —გაოცებით შეეკითხნენ მოციქულთაგან სამნი, ხოლო ერთი—რუსი ულვაშებს იგრეხდა, მეორე სომეხმა კი კისერი მოიფხანა, თითქო უცებ რაღაცამ უკბინაო!..

—დიაღ, ბატონებო,—განაგრძო გენერალმა იმავე კილოთი: პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო, ნათქვამია. აქ ეს ნამუსიც გამქრალა... ერთგან, როგორც მაგალითად შინიხს, აირუმს, ახპატს, უზუნლიარს გადაცმული პროვოკატორები დადიან, და ხალხს საქართველოს წინააღმდეგ რაზმავენ, მეორეგან-უზუნლიარში საქართველოს მხედრებს თავს ესხმიან, ხოცვენ და არცკი ამარხვინებენ, მესამეგან—სანგრებს მართავენ და... ვინ მოსთვლის? ყოველივე ამის შემდეგ ზოგიერთს იმდენი კადნიერება კიდევ შესწევს ამტკიცეცოს, რომ სომხებს ბოროტება არ უდევთ გულშიო?!.

—ეჰ, კნიაზო, განა ბოროტი და უნამუსო კაცი დაილევა?—ასეთი უნამუსო ხომ თქვენშიაც არის და ჩვენში რომ იყოს, რა გასაკვირია!—მიუგეს სომხებმა სიტყვის ბანზე ასაგდებად.

არა ერთხელ მოესმინა სომეხთა მოციქულ რწმუნებულთა „პატიოსანი ფიცი'' და მისი დარღვევა; სომეხთა რწმუნებულნი: დღესაც, ჩვეულებრივ თავს იმართლებდნენ და ყოველივე ბრალს ჩვენ ჯარის კაცებს აღებდნენ. განსაკუთრებით ყინჩობდა რუსი ოფიცერი ვითომდა სომხეთის ხალხის ინტერესების დამცველი:

—თქვენმა დარაჯებმა ძლიერ შეაწუხეს საწყალი სომხები,—მოახსენა გენერალს მოკატუნებით.

—ეგ როდის? იკითხა გენერალმა: რესპუბლიკის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლის შემდეგ განა! საქართველო არავის უფლებას არ ეხება,! მაგრამ არც თავის შეურაცხყოფას აპატიებს ვისმეს... ჩემის სამშობლოს

დასაცავად მეც იარაღს მოვკიდე ხელი... ვიდრე გვიან არ არის, გთხოვთ, გონს მოხვიდეთ... და თუ შეტაკება მოხდა, დაე, მას ეკითხოს ქვრივ-ობოლთა ცოდვა, ვინც დამნაშავეა...

უთხრა გენერალმა ღ გამოემშვიდობა რათაც ანიშნა—სათქმელი აღარაფერი მაქვს და შეგიძლიანთ წახვიდეთო...

—ფიქრი ნუ გექნებათ კნიაზჯან, ჩვენგან ცუდი არა იქნებარა!—უთხრეს სომხებმა და წავიდნენ ..

სომხთა რწმუნებულნი რომ გავიდნენ, ქართველმა მწერალმა მეკარეს მიმართა:

—აჰა, გადაეცით ჩემი ვინაობის ბარათი.

მეკარემ გენერალს მოახსენა. მცირე ხნის შემდეგ გენერლის ადიუტანტი გამოეგება ქართველ მწერალს და თავაზიანად შეუძღვა. შესვლისათანავე, გენერალი წამოეგება, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

—სწორედ რომ ბედმა მოგიყაანათ აქა! თქვენ, ვითარცა მწერალი, ყოველი ე მოსმენილს სისწორით გადასცემთ საზოგადოებას. აგება ამ მხრით მაინც გამოვაღვიძოთ ჩვენი მიყუჩებული გულის ყური.—თორემ ძალზე გვძინამს და მტრები გვაძოებენ... ვშიშობ მტრები შიგნიდანაც არა გვყავდეს!.. შემდეგ განაგრძო:

—სომხებთან ძმობა ვერ მოხერხდება... მოგეხსენებათ, მიწა წყლის დამკარგვნი ჩვენში ძიობენ მამულდედულს,—და თუ დაუთმობთ, ხო რა კარგი არა და—ბრძოლა უნდა გაჩნდეს... მგელს რაც უნდა სახარება წაუკითხოთ, მაინც ტყისკენ იცქირება... ესე რომ თქვენ დაგვეხმარებით,

—რითაც-კი შეგვიძლიან—მიმსახურეთ,—მიუგო ქართველმა მწერალმა,

—გთხოვთ იცნობდეთ, უთხრა გენერალმა და მუნ მყოფნი წარუდგინა: ეს ახლახან ერევნიდან ჩამოსული ქართველი ლტოლვილია, ესენი ქართველი ოფიცრები..

ქართველი მწერალი ყველას გაეცნო. ამის შემდეგ გენერალმა ყოველივე მოუყვა და სომხების სულისკვეთებანი გააცნო, ამბავთა მომხდარ ჩამონუსხვით, რაც ზემორე მოვიხსენიეთ.

—ქალაქში რას ფიქრობენ!—იკითხა ერთმა მხედართაგანმა,

—დარწმუნებული არიან, ქართველ-სომეხთა შორის იარაღით შეტაკება მაინც არ მოხდება. ჟურნალგაზეთებში დაშნაკელების სამწერლო ფახიფუხია, ხოლო აქ—უბრალო ბრბოების თარეში,..

—ერევანში?!—ჩაერია ლაპარაკში ქართველი ლტოლვილი.—აი, ბატონო, შემომხედეთ რასა ვგევარ: მთლად გამატიტვლეს.. მე ერევანში ვცხოვრობდი და მთელი სომხობის გულის ცემა ხელისგულზე მაქვს აღნუსხული. უნდა ითქვას ერთხანად ურიგოთ არ გვეპყრობოდნენ სომხები, მაგრამ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადდა, მოსვენება დაგვეკარგა: ჩვენს შეურაცყოფას, დევნას, ლანძღვას ბოლო არა ჰქონდა..

—ჩვენი ელჩი?

—დიაღაც მშვენიერი ორატორია, მუდამ ძმობაერთობის მქადაგებელი.. ისე თვალსაჩინო ამბავი ანუ რაიმე ზეიმი, არა ყოფილა რო საუცხოო სიტყვა არ ეთქვას... მაგრამ ჩვენს დევნას მაინც ბოლო არ უჩანდა.. ერევანი ახლა ნამდვილი სამხედრო ბანაკია. ჯარს ყოველ დღე წრთვნიან ბაღში,—ჯარის გამწრთვნელებად განსაკუთრებით რუსი ოფიცრები არიან, ვითომდა სომეხთა სიბრალულით, ნამდვილად ჩვენის ქვეყნის აშკარა სამტროდ: საქართველო სომხეთს დაამარცხებს, თუ სომხეთი საქართველოს—რუს ოფიცრებისთვის ხელმისაცემია, ოღონდ ეს ქვეყანა დაიღუპოს და სხვის ლუკმა შეიქმნეს. . როცა სომხებს შევეკითხებოდით ხოლმე: რათ გინდათ ამ ჯარს რომ თავს უყრით მსოფლიო ომი თავდება ღ თქვენ ხელახლად ხომ არ უნდა გააჩაღოთო, გესლიანად გვეტყოდნენ ხოლმე: მალე დაინახავთო!..

—ჩვენი ელჩი?

—ამ დროს სომეხთა წვეულებებში მოილხენდა და მშვენიერ ტოსტებსაც ამბობდა ძმობა ერთობაზე..

—ვაშა მაგის სულგძელობას

—ოღონდაც!

—ბოლოს ქართველებს რომ სული და გული შეგვიწუხდა, ავიბარგენით და გავემგზავრეთ, მაგრამ გზაში ყველაფერი გაგვცარცვეს და გაგვატიტვლეს.. და ასე მოგვექცნენ იმ დროს, როდესაც ჩვენ სომხებს დიდის თავაზით ვექცეოდით. ჩვენი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბევრ სომხებს მფარველობდა—ხელს უმართავდა საქართველოში წამოსასვლელად..,

—როგორ?

—სომხებს ხომ ეკრძალებოდათ საქართველოში შემოსვლა. ამიტომ ბევრმა ჩვენი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარისგანაიღო პირადობის მოწმობა, როგორც საქართველოს ქვეშერდომმა. ასეთის მოწმობებით თუმცა ბევრი საქართველოს სომეხი დაბრუნდა ბევრიც ჩვენი მტერი თავისუფლად შემოდიოდა საქართველოში, სავაჭრო ანუ სხვა მიზნით და ჩვენს შინაურ მდგომარეობის შესახებ ცნობებს აწოდებდა... ბოლოს მოკლედ რომ ვსთქვა ერევანში ნამდვილი საომარი სული დატრიალდა..

—ჩვენი ელჩი?

—რაკი სატელეგრაფო მავთული გაწყდა, თუ გაწყვიტეს, ჩვენი ელჩი მთელის დოკუმენტებით წამოვიდა მაგრამ რამდენიმე დღე თუ კვირა მატარებელში ჰყავდათ კეთილშობილურად დატყვევებული, უფთხილდებოდნენ: წინ გზაა შეკრული არ მოგკლანო.. ასე რომ ჩვენმა ელჩმა აღარც სომხეთისა იცოდა რამე, აღარც საქართველოსი...

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ადიტანტიმა მოახსენა:

—თათრები მოვიდნენ სამთხრობლოდ

—შემოვიდნენ.

სამი თათარი შემოვიდა. მათი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ სომხის სოფლებშიხალხი შეიარაღებულია, რაზმებად დაწყობილი და დღეს არა—ხვალ საქართველოზე გამოლაშქრებას აპირობენო. ამასთანავე სჯულის ფიცით არწმუნებდნენ გენერალს, ჩქარა ზომები მიიღეთ თორემ სომხები მოგიმწყვდევენო!..

ამ საუბრის დროს გენერალს სასწრაფო მოხსენება მორთავეს: „ჩვენს სანაპირო სადარაჯოებს ხელახლა თავს დაეცნენო!.

ყველას რაღაცა აღელვება და მოუსვენრობა დაეტყო. გენერალი წულუკიძე უფრო დამშვიდებით იყო, მაგრამ გულში კი, ცოტა არ იყოს ეფიქრებოდა: ჯარის ზოგიერთი ნაწილები რამდენიმე დღის წინად უკან დააბრუნა როგორც უვარგისნი, ხელქვეით მთელ საგენერალ გუბერნატოროში სულ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი ჰყავდა, გარდა ამისა გაითვალისწინა. რომ ჩვენი ჯარი თავმოყრილი არ იყო და

—შეიძლება სომხებმა სირცხვილიც გვაჭამონო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



საქართველოს რესპუბლიკის პირველი განათლების სამინისტრო
(შუაში ზის ჭაღარა მოსილი რევოლიუციონერი განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი.)

## განათლების სამინისტრო

1918 წლის მაისის მშვენიერ დღეებში სულს ლაფავდნენ დღიდან დაბადებისა განუკურნებელ სენით შეპყრობილნი ამიერ-კავკასიის ჭრელი სეიმი და მისი შემადგარი მთავრობა, კომისარიატი. არ იყო თანხმობა, სხვა და სხვა იყო ინტერესი, ყველა თავისკენ მიიწევდა, ერთი მეორეს საფლავს უთხრიდა, მესამეს უხაროდა და... ისტორიას ჩაბარდა ამ კონგლომერატის არსებობა.

მაისის ოცდა ექვსს ეკლიან ტახტზედ ავიდა დამოუკიდებელ საქართველოს ნორჩი მთავრობა.

თუ რამე იყო საქართველოში დასახიჩრებული, თუ რამეს აჩნდა საუკუნით წარმოებულ გადაგვარების აჩრდილი, თუ რამეს სჭიროდა სათუთი, შემოქმედი და ექიმი ხელი—ეგ სკოლა იყო. იქ არის ჩამარხული ერის იმედი. უფლისგან კურთხეული ვაზის საწინაო, ჯეჯილის მომავალი, სიცოცხლის ძარღვი, ჩვენი ახალგაზრდობა.

განაწამებ საქართველოს სწავლა აღზრდის საქმე ჩაბარდა ჭაღარა მოსილ რევოლიუციონერს ამხანაგს გიორგი ლასხიშვილს.

ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად შობილ საქართველოს ნაპირებს ბოლშევიკების ტალღები აწყდნენ, - ბოდნენ, ჩვენს თავზედ ოსმალოების ხმლები ელვარებდნენ, ყაჩაღები თარეშობდნენ, „ქროდნენ ქარნი შესაზარნი“. არ იყო სიწყნარე შინ. აუტანელი იყო მდგომარეობა გარე. პოლიტიკურ მოღვაწის ნიჭს, თვალს და მთელს ძალას საერთო სახელმწიფოებრივი საკითხები მოითხოულობდნენ, მეტად ძნელი იყო აღმშენებლობითი მუშაობის გულდასმით წარმოება, მაგრამ მიუხედავად ამისა განათლების სამინისტრომ მაინც ბევრი რამ შესძლო: გაუქმებულ იქმნენ: ამიერ კავკასიის სახალხო განათლების სამინისტრო, სასწავლო ოლქი, სახალხო სკოლათა დირექციები, სამხედრო გიმნაზია, ქალთა ინსტიტუტი და სხვა დაწესებულებანი, რომელთა არსებობა საქართველოს არ სჭიროდა. დარჩენილ იქმნა შტატს გარეშე და მიეცა სალიკვიდაციო ჩვენთვის გამოუსადეგარ მასწავლებელთ. ეროვნულ უმცირესობებს სომხებს, რუსებს, ბერძნებს, ოსებს და სხვებს საქართველოს სახელმწიფოს ხარჯით გაეხსნათ სკოლები. სავალდებულო შეიქმნა მათთვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლა. სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები გადაკეთდა გიმნაზიებად, ყოფილი სათავად-აზნაურო გიმნაზიები მიღებულ იქმნა სახელმწიფოს სასწავლებლებად. აღიარებულ იქმნა სახელმწიფოს მეცნიერების უმაღლეს ტაძრათ და მიღებულ იქმნა ხარჯები ქართული, უნივერსიტეტისა, რომელსაც ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. გაუქმებულ იქმნა საღვთო სჯულის სწავლება ყველა ტიპისა და უწყების სასწავლებელში. რესპუბლიკის ყველა მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულ იქმნა ყოველგვარი ზომა, შედგენილია პროგრამები ქართულ ენისა, საქართველოს ისტორიისა, გეოგრაფიისა. მუშავდება კანონ-პროექტები საქართველოს სასწავლებლების ძირითადი რეორგანიზაციის მოსახდენად, საყოველთაო და უფასო სწავლების შემოსაღებად. წინადადება აქვს ყველა სასწავლებელს შეიძინოს ქართული ეროვნული დროშა, სახელმწიფო (ქართულ) ენაზეა სწავლება ყველა ქართულ სასწავლებელში.

საქართველოს განათლების პირველმა მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა მეტად მძიმე პირობებში გადადგა პირველი ძნელი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის სწავლა-აღზრდის საქმეში. გარუსებულ, გადაგვარებულ, დაკნინებულ და დამცირებულ სკოლას პირველმა მან შთაბერა ქართული სული... უვალი გზა გათელა, გაფურჩქნა, გაალამაზა და... თავისი პორტფელი გამოცდილ პოლიტიკურ მოღვაწეს ბატონ ნოე რამიშვილს გადასცა...

ჩვენ გვწამს, რომ ქართველი უკვდავია. რამდენჯერ გადუბუგავთ, გაუწვავთ, ცეცხლისა და მახვილისთვის მიუციათ ჩემი და თქვენი საერთო დედა, ეგ ლამაზი საქართველო, მაგრამ ის მაინც ამოსულა, კვლავაც შობილა... ერის სიცოცხლის უტყუარი დარაჯი ხომ მისი ენაა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. ენას სკოლა ინახავს, სკოლა ზრდის, უვლის, ჰპატრონობს. მთელი ჩვენი ყურადღება სკოლას უნდა მივაპყროთ, თაყვანი ვსცეთ, მოვიდრიკოთ მუხლი მისი სულის ჩამდგმელების, ჩვენს სამშობლოსათვის განაწამებ მასწავლებლების წინაშე. პაწაწინა ბავშვის გულში ისინი ზრდიან სათუთ გრძნობას სამშობლოს სიყვარულისას პატარა სკოლით დიდ სახელმწიფოთა დაძლევა შეიძლება. დღეგრძელობა ქართულ სკოლას. ვ. ძიძიგური

## ზეიმი

...და ჩამოგვეხსნა გლოვის რიდე კუბოსანი:
სულს აღარ სტანჯავს ზამთრის ყინვა ცივ სუსხიანი;
გაზაფხულია, დღე დიდი, დღე სხივ-მზიანი,
ხარობს მამული, ხარობს ყველა ქართლოსიანი!
ალბუზს სხივი დაჰქათქათებს, ბრწყინავს ჭაღარა,
ამწვანებულა მთა და ბარი ტურფად, ნარნარა,
დღეს ზეიმი აქვს საქართველოს, უკრავს ნაღარა,
ეყო სამშობლოს რაც იტანჯა, ცრემლი დაღვარა.
მისთვის გავცვითეთ გლოვის რიდე და მოვიმღერით,
რომ მოვესწარით გაზაფხულს და აღდგა ერი,
დროშა ძლევისა დაგვფრიალებს ცისარტყელის ფერი,
მას ვეტრფით მარად, მათ ვემადლობთ, ვართ ბედნიერი.

მუშა მიხა დევაძე



1 მელქისედექ მიხეილისძე კედია—შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსი; 2 პლატონ ზურაბისძე ფაჩულია, მისი ამხანაგი.

## გატეხილი ვაზა

(ფრანგულიდან)

სიული პრიუდომი

იმ საუცხოვო ვაზას, რომელშიაც ჩასვი ნაზი ყვავილი, უცაბედად მოარტყი მარაოს ფრთა... გაიბზარა საბრალო ვაზა..

გავიდა ხანი... შენი ყმაწვილური უცაბედობა დავიწყებულ იქმნა. ვაზს კი განსაცდელი მოელის: წყალი წინწკლეაად გაუდის გაბზარულ ვაზას და ნელ-ნელა სჭკნება გაფურჩქნული ყვავილი.

ხელს ნუ შეახებ: ვაზა გატეხილია!

და სწორედ ამგვარადვე უცაბედად შეახე ხელი შენი ჩემს გულს, ელი ნაზი და მოსიყვარულე და მის შემდეგხროგორც ბოროტ წყენისაგან, დარჩა წაუშ, ლი კვალი მასში.

ის კვალინდებურად სძგერს და სცოცხლობს, ყველასგან დამალულია მის ტანჯვა, მისი წუხილი, მაგრამ წყლული კი მძიმეა და იზრდება ყოველ დღ;.

ნუ შეახებ ხელს:—გულიც გატეხილია!..

ა. მაჭავარიანი

## ჯიუტი საუბარი

დღეილ.. ღამით.. როცა ნამათ ვარდი იგსებს უბეს..
როცა შველი ეწაფება --ტყეში წყაროს გუბეს..
და შტოებში ჩამოუშვებს—მთვარე ოქროს სხივებს
ბუჩქნარი კი სიოს ნავზე ფოთლებს ალივლივებს;
შენ რას დახვალ.. . მაშინ.. ღეალ.. ვის ეძებ ღამით
—რა გსურს მითხრა ამიი.?...

როცა შეთქით ვარსკვლავი ბაღში დასეირნობს მთვარე.
როცა მყუდროთ მიიძინებს ირგვლივ არე-მარე..
როცა ბულბულს ვარდის შტოზე ტურფა ესიზმრება
და უგ'ვიდოთ სურნელობით სულდგმული ითვრება..
რას დადიხარ ტყეში მარტოდ.. იქნებ ვისმეს ელი?.
—როცა წვება ბ ელი?..

დიახ.. როცა ბინდი მეფობს..დადის ტყეში შველი..
როცა ოხრავს.. როცა გმინავს ზოგჯერ ტყე შიშველი.
როცა ტბაზე გედი ცურავს.. როცა დერო ღელის..
ცელქ ნიავის ახალს ტალღებს-მოუთმენლათ ელის..
რას დადიხარ მაშინ მარტოდ.. პირზე ღიმ გამკრთალი?
—რას დაგდიგარ ქალი?.

დიახ ქალიი.. მარტო, ღამით... ძილ მიუკარებლად.
მხოლოდ ვერხვის ჩრდილი რომ გდევს .. გდევს ერთადერთს მხლებლად.
რომ არც კაცი.. არც სხვა ვინმე.. და თვით ტყის ალი
იმდროს კარში არ გამოვა.. შენ კი დახვალ ქალი..
მსურს გავიგო ვის მოელი იისფერ მანდილით...
—გსურს გაიგო? მე მზეს ველი" რომ ასწრო დილით!

ილ. მოსაშვილი



გ. მ. გუბელაძე
ახალციხის ფრონტზე მამაცურ ბრძოლაში დაჭრილი, დაჯილდოვებულია.



ჯავშნოსანი მატარებელი № 1 ვ. გოგუაძის უფროსობით, რომელმაც ანარქიასთან ბრძოლაში და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში დიდი უნარი გამოიჩინა.



ვლ. ტარ. ჩინჩალაძე
შტ.-კაპიტანი, მოკლული ახალციხის ფრონტზე ეგმირულ ბრძოლაშ.



პოეტი გალაქტიონ ტაბიძე
მის ლექსების მეორე ტომის გამოცემის გამო.

## პასუხი

მღერავ: გიცნობო, და მე ხომ უკვე
აღარც კი მახსოვს შენი ხატება;
ვერც ის გავიგე, თუ ამ წერილში
რა იმარხება, რა იხატება!

მწერავ: „გიყვარდე" თორემ იცოდე
მაინც შეგასმევ გესლსა და შხამსა!..
მეც სასიკვდილოთ მუდამ მზათა ვარ
და საწამლავი უბით დამაქვსო!..

მღერავ... და მიკვირს რატომ არ იცი,
რომ სიყვარული ერთხელა ჩნდება,
და თუ არ უვლი, როგორც თვალის ჩინს,
ჩაიფერფლება, თანდითან კვდება!..

**დ. ჭანჭა თელი.**



ე. ა. სპიტკო
საოპერო მსახიობქალი თამარ მეფის
აღმასრულებელი ოპერა „თქმულება
შოთა რუსთველზე"-ში.

## სადარაჯოზე

შემოღამების მკრთალი ლანდი დაეშვა ფრთხილად.
არე-მიდამომ გადაიცვა შავი სამოსი.
ჩემს ობოლ სულში დრო შეიქრა მძიმე მახვილად.
და სტუმრად ჰანგი მე მეწვია სასაფლაოსი.
დუმილი სუფევს. ცას არ ესმის მიწის წუხილი.
ზღვა ძილს მიეცა. ტყე მდუმარებს, არ ქრის ნიავი.
რაინდი ღამის ძირს ეშვება დროშა გაშლილი
და სიბნელეში ვერას ხედავს თვალი მქირდავი
და ფრთებ დაშვებულ ამ მოსაწყენ ღრმა სიჩუმეში
უძრავ ქანდაკად ვდგევარ მტრის წინ სადარაჯოზე.
და არ მშორდება სულის ამტკენ სიმწუხარეში.
ფიქრი მტანჯავი ჩემ საყვარელ საქართველოზე..

**ნ. ზენობნიელი**



ქართული კლუბის სცენის მოყვარეთა წრე
სლგანან: თ. ს. ფონდოევი. თავ. ჭავჭავაძის ასული. პ. პანკ-
რატოვი, ს. მერგიევი; სხედან: თავ. მელიქიშვილი, ს. შგრ-
მაზანოვი, თავ. გექთაბეგიშვილი, თავ, ვახვახიშვილი, თავ-
გრუზინსკი, ლინოვიჩი, ალბერდი.

## ჩემო ლელი!..

(ძღვნად ქ . . . . . ხ)

აფროდიტეო მომაჩნიხარ ჩემო კარგო, ჩემო ლელი,
მასულდგმულებს ეგ შენი ხმა სანეტარო, წყნარი, ნელი...
სულით სულსა ჩამექსოვე, ნუ იქნები ულმობელი,
ნუღა მტანჯავ მიპასუხე, გულის თრთოლვით გელი!.. გელი!..
ჩემო ლელი! .

*
* *

თუ მაპკურებ სიყვარულის აიაზმას მათრობელას,
თუ ნუგეშით გამიქარვებ ბოღმა დარდებს მახრჩობელას,
ერთი ათად გადვიქცევი, დაგისახავ ჩემ სიმბოლოდ,
მუდამ შენზე ვიოცნებებ, შენზე ვიმღერ, შენზე მხოლოდ!..

12 ბალისთვე

**შალვა მეფანდური**

# თეატრი და ცხოვრება

18 აპრილს სახელმწიფო თეატრში გაიმართა მოხსენება-კამათი სათეატრო ხელოვნების შესახებ. ამ საღამომ დასტოვა შთაბეჭდილება, —დრო არ არის ეხლა ხელოვნებაზე ლაპარაკისა!

ხელოვნება საზოგადოდ და თეატრი კერძოდ წარდგენილი იყო წინაშე სამსჯავროსი, რომლის უდიდესი ნაწილი შესდგებოდა პარტიული ხალხისგან. რასაკვირველია, შესაძლოა პოლიტიკურ მოღვაწეს ესმოდეს და ეინტერესებოდეს ხელოვნების საკითხები. მაგრამ დღეს პოლიტიკურ საკითხს ისეთი მწვავე ხასიათი აქვს, პარტიული ხალხი ისე ყურებამდის ჩაფლულია ამ საკითხებში. რომ მას სრულებით არ გააჩნია თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კუთხე სულისა სხვა რისთვისმე; პოლიტიკური და პარტიული ჩვენი ფსიხიკა თავის ელფერს სდებს ყველაფერს —პურის ჭამასაც-კი, —ეს გასაგებიც არის და, იქნებ, აუცილებელიც. მაგრამ ხელოვნება აქ არაფერ შუაშია!

პოლიტიკა წმინდა წყლის მიწიერი მოვლენაა—დღეს-დღეობით მაინც—ხელოვნება—ზე-მიწიერი; ხელოვნებაზედ ლაპარაკი მიწიერ ფსიხიკით მოცულ ადამიანისთვის შეუფერებელია, და ეს ცხადად დაეტყო იმ საღამოს: ღვთაებრივ საგანზე, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი თავისი სამყარო, რომელსაც მუხლს უნდა უდრეკდეს თვით პოლიტიკაც, — ლაპარაკობდნენ, როგორც გაცუღლუტებულ მოახლეზე, რომელიც თმებით უნდა მოათრიონ სცენაზე და ამსახურონ...

მომხსენებელმა ბ. ლვოვმა, სხვათა შორის, გადმოგვცა შემდეგი ეპიზოდი: მოსკოვში ბოლშევიკურმა მთავრობამ მოსთხოვა სამხატვრო თეატრს ხალხისთვის წარმოდგენების მართვა. სტანისლავსკიმ სასოწარკვეთილებით ჰკითხა: რა წარმოვადგინოთ? რაც გაქვთ რეპერტუარში? სტანისლავსკი გაუმასპინძლდა ჩეხოვის ,,ალუბლის ბაღით'' და, წარმოიდგინეთ, რა ფხიზლად შეხვდა თვით ბოლშევიკური სულის-კვეთებით მოცული ხალხი: ანტრაქტებში მოვიდნენ მიუხედავათ იმისა, რომ პიესა თავისი შინაარსით ✠ იდეით მათთვის უარსაყოფი იყოვო!

ამაზედ ერთმა ორატორმა უპასუხა: ,,ხალხი ალბად მათ მხატვრულ თამაშობას უკრავდა ტაშსაო და არა პიესის შინაარსაო!'' ე. ი. თამაშობა მხატვრული ყოფილა, მაგრამ შინარსი შეუფერებელი პოლიტიკური მომენტისთვის, —აი სწორედ ის პარტიული სულისკვეთება, რომელიც ხელს აფათურებს წმინდა ხელოვნებაში! მეორე ორატორი უფრო გათამამდა: ,,შალიაპინმა თავისი ყანყრატო, საცა უნდა, იქ წაიღოსო!''

რა ფასი ექნება დღევანდელ პოლიტიკურ მომენტის სიმწვავეს ასი-ორასი წლის შემდეგ, ძნელი სათქმელია; ხელოვნება-კი, თუნდ ,,შალიაპინის ყანყრატოს'' სახით, მარად სათაყვანებელი დარჩება ადამიანისთვის.

ჩვენში დიდი საქმის, დიდი თანამდებობის ჭკვადამჯდარი კაცი ხელოვნებას ვითომც კიდეც ჰმფარველობს, კიდეც აქეზებს, მაგრამ მაინც ცოტა ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ დ ა ს ც ქ ე რ ი ს, —ეს, რასაკვირველია, კომიკური მოვლენაა...

ხელოვნების დაფასება ცივი ტვინის მსჯელობით ისეთივე უხამსობაა, როგორც საჭურისის მსჯელობა სიყვარულზე!

. . . . . . . . . . . . . . . . .

კულტურულმა კაცობრიობამ განიცადა ორი უმთავრესი მდგომარეობა — ბუნებრივი და კანონმდებლობითი. პირველში ადამიანი იყო ბუნების მონად; მეორეში თითქოს განთავისუფლდა ამ ბატონობისგან, მაგრამ კანონმდებლობა გაუხდა ახალ ბატონად. როგორც პირველს ისე მეორე მდგომარეობაში თავისუფალი სული შეზღუდული იყო და არის სინამდვილისგან, და თავის ნუგეშად ადამიანის ოცნებამ შეჰქმნა ,,ახალი სინამდვილე'' ცხოვრების ზღაპარი — ხელოვნება; მხოლოდ აქ ამ „ახალ სინამდვილეში“, ამ შვენებათა ზღაპარში ადამიანი ჰგრძნობს თავს ბედნიერად, თავისუფლად.

რა თქმა უნდა, ადამიანიც პირველად ყოვლისა ცხოველია და მისი ფიზიკური არსებობის პირობებიც პირველ რიგში უნდა იდგეს; მაგრამ ეს ხომ აუცილებელია ყოველი ცხოველისთვის! ხელოვნების სამყარო კულტურის გვირგვინად უნდა ჩაითვალოს და ადამიანის ესთეტური განვითარება უმაღლეს მისწრაფებად. მარტო ინტელექტის განვითარება არ კმარა ცხოვრების შესაგნებლად, სიცოცხლის მთელი ,,სიმწვავით" განსაცდელად. ღვთაებრივ არსებობის საგრძნობელად! დიე, თუნდ ვარსკვლავთა დათვლა შესძლოს სწავლულმა, —რა გამოვიდა! ვიდრე ვარსკვლავი მხოლოდ ობიექტია მისი ცივი ტვინისა, ვიდრე ვარსკვლავით მოჭედილი ცა, დიადი ჰარმონია უსაზღვროებისა, ღვთაებრივი იდუმალებით მოცული სურათი მისთვის დახურულია, —ის ჯერ მხოლოდ სწავლული ცხოველია! ბუნება სინამდვილეა, — ხელოვნება მისი გაგრძელება, მისი განყენება, მისი ამაღლება! კიდევაც მეტი: მხოლოდ ხელოვნებას შეუძლიან დაანახვოს ადამიანის ბეც თვალს ის მშვენება, რომელიც უხვად გადაშლილია ბუნებაში. ჩამოაშორეთ ადამიანს ხელოვნება და დედამიწა გადაიქცევა ცხოველთა საძოვრად,.

როგორც ფილოსოფიის, ისე ხელოვნების განვითარებისთვის და აყვავებისთვის საჭიროა, რომ ადამიანის მთელი დრო, ენერგია არ იყოს ჩაყლაპული მიწიერი ფიქრით, გაჭირებით, ადამიანს უნდა ჰქონდეს დრო ასე ვთქვათ, სიზარმაცისთვის, უქნარობისთვის. მიწიერ გაჭირებისგან თავისუფალ ადამიანს უნდა შეეძლოს მიეცეს თავისუფალ მიმდინარეობას აზროვნებისას ჩაფიქრებისას, განცდისას. ხელოვნება უზენაესი სიმღერა გრძნობისა, როგორც ფილოსოფია აზროვნებისა. ყინვით გათოშილ მწირი ბუნების შვილი მხოლოდ ორ ფეხზე შემდგარი სტომაქია: მას არ სცალიან არც ჭკუის, არც გრძნობის სიმღერისთვის, —საჭმელი, საჭმელი, საჭმელი! ფილისოფიის და ხელოვნების აკვანია სწორედ ის ქვეყნები, სადაც ღვთის თვალი ტრიალებს; იქ იყო შესაძლებელი სიზარმაცე, თავისუფალი გრძნობა-აზროვნების სილაღე.

გადავავლოთ თვალი თანამედროვე კულტურის საზოგადო ხასიათს, ჩვენი ცხოვრების საზოგადო სურათს...

ნ. შიუკაშვილი

## სამშობლოს

ჩემ ტურფა მხარეს
უმზადებს მწარე ეს
გაუმაძღარი ბოროტი სული;
მეცა ვარ ღირსი და საკადრისი,
რომ სამსხვერპლოზე დავუდგეწული
ჩემო სამშობლოვ! ჩემო აკვანო!
ჰა, შეიწირე რაც მაბადია —
ერთი სიცოცხლე, —რაც მაქვს იკმარე, —
ეს გულით-სულით შენთვის მწადია
ჰა, შეიწირე! როგორც გინდოდეს,
სადაც დაგჭირდეს იქ მოიხმარე!
მხოლოდ ამას გთხოვ: თავისუფალი
ქართველი მიწა მკვდარს დამაყარე!!.

გ. მაღრაძე

# ჩვენები

(გაგრძელება იხ. თ. და ც. № 5)

სოსო ეგ ტყუილია! არ დაიჯეროთ!.. ისინი ხოლოდ კარგი ამხანაგები და მეგობრები არიან ერთად მეცადინობენ და სწავლობენ..

რიმს. თქვენისთანა განათლებული ხალხში შვილი მეყოლება, ქა, რაღა მიჭირს?!.. იმასაც გამინათლებთ... განათლებული არის, ენაცვალოს დედა... ორი კლასი ჩასტნი ღიმნაზია გამითავებია.. მაგრამ რაკი სიძე სტუდენტი მყავს, მე მინდა ქალიც კურსისტკა მყავდეს.. მე შენ გითხრა, ქმრის დამჯერე და მონა მორჩილი არ იქნება... რომ უთხრას: მტკვარი აღმა მიდისო, ეგეც დაუჯერებს... მთელი დღე გუგული ით ზის...

იაგ. ოჩინ უმნი ჟენა ბუდით!

რიმ. თუ ღმერთი შვილიშვილს მაღირსებს თქვენ მოგანათვლინებთ.

ანეტ. ეზთ გმადლობთ!

იაგ. აბა, ნიშანი და...

რიმ. ჰო, გენაცვალე, რაღაზე ვიგვიანებთ?

სოსო (ადგება)

რიმ. ქალი ეს არის, გენაცვალე! ქრთამი და ხორაგი. რაც დაჰპირდი, შეგისრულებ.

სოსო (ანეტასთან მეგა) ბეჭედი მგონი შენ გაქვს?

რიმ. (ტასოსთან მიდის უსწორებს და რაღასაც ეჩურჩულება ტასო ბრაზობს მაგრამ ცდილობს სიბრაზე დაფაროს)

ანეტ. მაშ ეგრე?!

სოსო (უიმედოთ ხელს ჩაიქნევს) ეჰ, გვიანდაა!. მოიტა ბეჭედი!

რეზო აბა, ნეფე დედოფალი — ერთად! (მიიყვანს და ერთად დასვამს) როგორც შაფერი-მე უნდა დაგნიშნოთ! (ბეჭდებს გაუკეთებს სოსო ჰკოცნის, ტასო ხელს ართმევს) მომილოცავს! მომილოცავს! ღმერთმა გაგაბედნიეროთ! აბა მოდით, მოულოცეთ!

რიმს. (ცრემლებს იწმენდს) ღმერთმა გაკურთხოთ, შვილებო, როგორც აბრამ და სარა! ათას წელიწადს გაცოცხლოთ! ; შენი 500 ვაჟი მენახოს და შენი 300 ქალი! (ჰკოცნის)

ანეტა მომილოცავს!

იაგ პოზდრავლიაემ ობვენჩანეი!

რეზო კაკ მოჟნა! ეს ობრუჩენიეა

იაგ. ჟელაემ მრავალ ჟამიერ ჟიტ... მნოლო დენლი... უჩონი... 24 სინ და 12 ჟენსკი რებიონოკ...

რეზო იაგორ მიტროფონიჩ — ჟენსკი რებიონოკ კი არა — დევოჩკა

რიმს. კარგი ერთი (მუცელზე ხელს წაჰკრავს) შე გიჟო ნუ უხირდები

იაგ. ვი სამსემ ნე უმნი!

რიმ. ნეტა იჩემი ავარა ვაჟი სად არის აქამდის?

რეზო ვაჟიცა გყავთ?

რიმ. ქაა!.. ვაჟი მყავს, რა... რო... ანტიკ!.. უბნის თვალია!.. ლამაზი; მოქეიფე, დარდიმანდი... სცენაზე თამაშობს...

იაგ. რიმსიმე ახლა არ დავლოცოთ მეფე პატარძალი?

რიმ. ქა, დამიდგეს თვალები!.. ბიჭო დიანოსა! მოიტა ღვინო, ზაკუსკა, მანდ პოდნოსზე გაწყობილი.. ჩემ თვალებს, მთელი ბაზარი შემოვარბენიე და შამპანსკი ვერ ვიშოვნე. — თქვენისთანა განათლებულ ხალხსა ღვინო როგორ უნდა გკადროთ, მაგრამ ყველი და პური კეთილი გული.

გიგოს ხმა. „დედიჯან, ეფუ!.. რიმ. აი, ჩემი გიჟიც მოვიდა!.. რა კარგ დროს!.. (კარს გაუღებს) სად ჯანაბაში დაეხეტები? სახლში ქორწილი გვაქვს და შენ კი-დუქან-დუქან ითვრები!..

გიგ. (შემოდის) ვაა, მართლა, დღეს ნიშნობაა!.. აკი სულ არ დამავიწყდა!.. ვაა... ჩემი სიყმე მოკვდეს, ჩემი!.. მერე მორჩით?

რიმ. მოვრჩით, მაშ!.. მიდი რაღა მიულოცე!.

გიგ. (ხელ გაშლილი მიდის) სიძე — ჯან!.. გენაცვალე პუგვიცა — პეტლიცებში!. (ჰკოცნის) დაიკო — ჯან, შენი თავი იყოს თოროზას გუდაში!..

რეზო ორიგინალნოე პოზდრავლენიე.

გიგო ჰა, ჩაურუსულეთ? მე რეჩი — მეჩი არ ვიცი! ჩემი მილოცვაც ეგ არის!.. კაკ მოჟნა სად არის?.. მოდი ერთი გემთხვიო მაგ მირონში!. (კოცნის) სულ შენი მადლობელი უნდა ვიყო, აი!.. კაცო, ოჯახში სტუდენტი სიძე შემომიყვანე ცანა მე შენ ამაგს ჩემს დღეში დავივიწყებ? კაკ მოჟნა-გენაცვალე რუსულში!...

იაგ. მე, სობსტვენო ღოვორია... ღარიბი კაცი ვარ,..

გიგო (გულზე ხელსა ჰკრავს) ჰოო, კარგი რაღა!.. ზაჰლა ნუ წაილე!.. მოგაქვავებთ შენს საშუ მავლოს!..

რიმ. ბიჭო, ეხლა ეს პატიოსანი ხალხიც გაიცანი და!..

გიგო ორთავეს ხელს ართმევს. მე ამ ოჯახის შვილი ვარ, რაღა! დედიჯან, ეფუ!!..

რიმ. კარგი ბიჭო რა გაღრიალებს?

გიგ. დამაცა დედი, ფართი — ფურთის გენებაზედა ვარ!.. სიძე-ჯან გენაცვალე დეპლომში არ დამცინო-აი!. მთვრალი ვარ, სამი დღეა ვქეიფობ!.. ერთი ჩემი ძმა ბიჭი დაქორწილდა! მიკიტანია — რაღა! დღეს აქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მისმა ნებმა ალაო გამომიშვეს... პახმელია ვიყავით... სტუდენტი მიყვარს.; კარგი ხალხია... თავადბალი.... უმნი ნაროდ... ბე-

ვერნი დავიდარაბის თავი არ მაქვს!.. დღეს მე და შენ ვქეიფობთ!.. დედი: მოიტა დასალევი!

**რიმ.** აი, სულიც დალევია დიანოსსა!., გასძახებს ბიჭო, მოიტა ჩქარა!

*დიანოსა დაგანზე დაწყობილი ღვინო, ჭიქები და ხილი*

**რიმ.** შე გასაციებელო, ჰოჭყიანი ბლუზითა და ფართუკით რომ შემოდიხარ, სუფთად ვერ ჩაიცვამდი?

**დიან.** შემიკერე და ჩავიცვამ. ვაა!

**რიმ.** *ტუჩებზე ხელს მიაფარებს, ხმა ჩაიწყვიტე* შე არ დასაცალებელო! აბა, სიძე ჯან გენაცვალე, პირველი შენი რიგია, მიირთვი!

*სოსო მიდის ჭიქა უნდა აიღოს, ამ დროს გიგო მოტრიალდება და ღვინოს დაინახავს*

**გიგო** შაფანცქს ვერ მოიტანდა ეს რა არის?

*დაჰკრავს დაგარს ხელს, ყველაფერი ძირს სცვივა და იმსხვრევა, ანეტა შეჰკივლებს, სოსოს ჭიქა გაუვარდება. ყველანი წამოცვივიან.*

**რეზო** ანეტას ამშვიდებს არაფერია, არაფერი?

**გიგო** *სათითაოდ ყველას გადახედავს* რაო, არ მოგწონვართ? ჩვენ ბევრი ცერემონიები არ ვიცით—რაცა ვართ—ესა ვართ! (*გადის*)

ფარდა

შემდეგი იქნება

ვ. შალიკაშვილი

## ახალი მზეს

მოდის, მოდის, მოაბნელებს
ჩრდილოეთის ღრუბელთ გროვა;
რესპუბლიკის მხურვალე მზევ
ფხიზლათ დახვდი, შენსკენ მოვა.
ბნელს ძალას სურს შეგებრძოლოს,
დაგთალხოს და დაგაბნელოს,—
ცეცხლის ალი შემოარტყას.
თავისუფალ საქართველოს.
ის ბნელია, ვითარც ღამე,
შენ კი მზე ხარ გულმხურვალე;
ქაჯთა ქვეყნის მოციქულსა
სხივი სტყორცნე, დასწვი მალე,
ჩვენც შენთან ვართ, მხათობელო,
შენგნით ბრძოლას მიჩვეულნი
სიმართლისა გულისათვის
ასებს დავხოცთ თვითეულნი.
ჩვენ მონობას ვეღარ გავწევთ,
ვერ ვითვისებთ მბრძანებლებსა,
ვერ აიტანს ჩვენი გული,
რომ ცოცხლები ვგვანდეთ მკვდრებსა.
მაშ შემოკრბით სხივთა ჯარნო,
ბადრი მთვარეც ჩვენთან მოვა,—
რომ ღრუბლები მზეს ემონნენ,
ის დრო ჟამიც მალე მოვა!..

გ. შინატხელი

## სახალხო მუშაკი



ისაკა მიხ. ძნელაშვილი

თიბათვის 1 თბ. მიხეილის სავადმყოფოში გარდაიცვალა სახალხო თეატრის ერთი პირველი დამაარსებელთაგანი ისაკა ძნელაშვილი ისაკა ხელობით ზეინკალი, გლეხიკაცის შვილი, მუშაობდა რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში და აქედან დაიწყო მისი ჩუმი კულტ. მუშაკობა. 1893 წ. როცა მუშათა ჯგუფმა (ვ. თევდორაშვილმა, იოსებ იმედაშვილმა, გ ჯაბაურმა და სხ.) ავჭალის სახაიეში სცენა მოაწყო სახალხო წარმოდგენების სამართავად, ისაკა აქ ერთი პირველთაგანი იყო: ვითარცა სცენის მოყვარე, სცენის მომწყობი, თავისუფ იდეის გამავრცელებელი მუშა ხალხში და სხ დაუზარელი და მეყაითი მუშაკი. ბოლოს მონაწილეობდა 2 სამოქალაქო ბიუროში, „არნონშა“, წმ. ნინოს სამრ. საბჭოში, სამკითხ. გამგეობაში და სხ. როგორც ეროვნულად გათვითცნობიერებული მუშა, თავის წრეში ნაყოფიერად მუშაობდა ხალხის გასათვითცნობიერებლად, ჯერ 42 წ. იყო, ხალისიანი მუშაკი და ამიტომ უფრო მისი სიკვდილი სამწუხარო.

დაკრძალეს 5 ივნისს. სიტყვები წარმოსთქვეს დეპ. ბ გამრეკელმა, დეპ დ გარსიაშვილმა, იოს იმედაშვილმა გ. ს. გამრეკელმა.

ამხანაგი



პ. გ. აგოშაშვილი

პავ. გრ. აგოშაშვილი, პორუჩიკი, ახალციხ. ქართ კათოლ. დაიბ. დეკ 2 1894 წ. ს. უდეს. დედისგან ჩაენერგა სამშობლოს სიყვარული და საერთაშორისო ომში დაჯილდოებული დაბრუნებისათანავე, მხნედ შეუდგა მის დაცვას, მაგრამ ახალციხის ბრძოლის დროს ს ჭილეში 9 თებ. მძიმე დასჭრეს, გარდ. 4 აპრ. როცა პავლე პოზიციაზე სისხლიდან იცლებოდა, მტერი მის სახლკარს აწიოკებდა, ცეცხლში ხვევდა. მოხუცი დედა ტყვედ წაიყვანეს.

უბედური ხარ ამხანაგო, რომ ნორჩი სიცოცხლე ასე უდროოდ მოისწრაფე, მაგრამ ბედნიერიც მით, რომ შენს საკუთარ კერიის დაცვას დააქციე შენი წმინდა სისხლი და აწ თავისუფალი სამშობლო მუდამ მადლობით მოგიხსენიებს!

ოოდა

# ვინ რა აზრის იყო

## საქართველოს განთავისუფლების შესახებ.


ალ. ორბელიანი
(1801-1869)

**ალექსანდრე ორბელიანი**, ძმა მგოსნის ვ. ორბელიანისა, წევრი „ფარული საზოგადოების“, მერე ამისთვის დასჯილი, მთელი სიცოცხლე იმის ცდაში იყო, რომ ქართველებს რუსები საქართველოდან უსათუოდ გაეძევებინათ: ამას მოწმობენ მისი ნაწერები, რომლებიც „ცისკარში“ იბეჭდებოდა. (ამის ნაწერების ცალკე ტომი გამოვეცი 1878 წ.) მისივე დაწერილია დრამა „დავით აღმაშენებელი“ (გამოვეცი 1891 წ. ხელნაწერებიდან). იგი დაწერილია 1832 წ. „ფარულ საზოგადოება“-ზედ, ამ დრამაში მთელი კავკასიის ერნი ერთდებიან: ქართველებს უერთდებიან სომხები, თათრები, ოსები და მთის სხვა ერნიც და მერე ესენი თავიანთის ერთობით საქართველოდამ რეკავენ არაბებს. ყველა ეს კი ეხება რუსების გაძევებას საქართველოდამ. სამწუხაროდ ასეთი დრამა ჩვენს სცენაზე ვერც ერთხელ დადგეს. ამბობენ, ამ დრამის სერაფიმ ბერში კიკნაძე ბერია გამოყვანილიო.


დ. ერისთავი
(1872-1891)

**დავით ერისთავი**, ცნობილი მწერალ-დრამატურგი, ერთ დროს გაზ. „კავკაზ“—ის რედაქტორადაც ყოფილი. დასწერა დრამა „სამშობლო“. ეს პიესა თბილისის სცენაზე პირველად დაიდგა 1881 წ. წარმოდგენამ ქართველ საზოგადოებაზე დიდი ზე-გავლენა მოახდინა. სცენაზე ქართულ დროშების ჩვენებამ ხალხი გაამხნევა, დროშებს მაყურებლებმა ფეხზედ ადგომით პატივი სცეს. ეს ამბები თბილისის რუსის ხულიგანებს ძლიერ ეწყინათ. ერთმა ამის შესახებ კატკოვის გაზეთში წერილი დაბეჭდა: ქართველებს თავიანთი დროშები თეატრის სცენაზე-კი ნუ გამოაქვთ ქართველი ერის გასამხნევებლად, წაიღონ, გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ და ცირკში გამოიტანონო. ამასთან ისიც იყო თქმული, რომ მთავრობა ასეთ პიესების დადგმის ნებას რათ აძლევსო. ამაზედ. ერისთავმა ჩინებული პასუხი მისცა. პეტერბურგში კატკოვს პასუხი გასცა რუსის მწერალმა მიხაილოვსკიმაც, აი ამ პასუხის შინაარსიც: ბატ. კატკოვი ქართველ ერს სეპარატისტობას სწამებს, მათს ეროვნულს დროშებსმასხარად იღებს, ქართველებს ურჩევს: ეგ თქვენი ეროვნული დროშები გოდფრუას ცირკში გამოიტანეთო. ამ გვარად ქართველ ერს უგინებს და ულანძღავს თვის ისტორიულ წარსულს და დროშებსა, ამავე დროს კატკოვი იმასაც სჩივის: ქართველებს რუსები რატომ არ უყვართო.

განა შეიძლება, კაცმა ქართველებს ასეთი ლანძღვა-გინების შემდეგ მოსთხოვოს თქვენ რუსები გიყვარდეთო!


ვაჟა-ფშაველა
[1862-1916]

**ვაჟა-ფშაველას** პოეზიის იგავი საქართველოს განთავისუფლების გარეშემო ტრიალებს: მიჯაჭული ამირანი საქართველოა, დამჯაჭვავი-კი რუსეთი, დაჭრილი ლომ-ვეფხვნი საქართველოა, ამათი დამჭრელნი-კი რუსეთი. ერთის სიტყვითამის ნაწერების ყოველი სტრიქონი სულ ამ გარემოების გარეშემო ტრიალებს და საქართველოს განთავისუფლებას ევლება გარს ფარვანასავით. ყოველი ლექსი პოეტისა, ყოველი ლექსის სტრიქონიც-კი სულ ამის ნატვრით არის სავსეე.

ზ. ჭ.

# საქართველოს კარის მცველნი

საქართველოს თავისუფლებას ბევრი მტერი აღმოუჩნდა: გასული წელი განუწყვეტელ ბრძოლაში იყვნენ სამშობლოს ღირსეული შვილნი და ეს ასე უნდა იყვეს, თუ გვინდა თავისუფლება განვიმტკიცოთ და სამშობლო მიწა წყალის ნამდვილი ბატონ პატრონნი ჩვენ ვიყვნეთ.

შარშან განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებლობას ხევმა,—დარიალის კარის პირველმა მცველმა სოფლებმა, როგორც ძველ დროს დღესაც დარიალის ხეობის არწივნი ღირსეულნი შვილნი აღმოჩნდენ თავისი ქვეყნისა. მით უმეტეს აღსანიშნავია ხევის მამულიშვილთა ღვაწლი, რომ სხვა და სხვა ბოროტი ფიქრის ხალხი ჩვენს გლეხკაცობას გულივით ჩაუძვრა, მეგობრობა აღუთქვა, ნამდვილად კი მისი საბოლოოდ დასუნთქვა მოინდომა, რითაც მთელი ხევის სოფლები საქართველოს თავისუფლების მტერს მიუდგნენ; მაგრამ აქ გამოჩნდენ შეგნებული მამულიშვილნი და ხალხის მოყვარულნი, რომელთაც ოცდაორი სოფლიდან სამი სოფელი მოიმხრეს,—ორივე მხრით მომდგარ მტრის შუაში მომწყვდეულთ ჩრდილოეთისა და თვით სამშობლოს მხრიდანაც მოსულ შავ-ბნელ ძალებს მკერდი მიუშვირეს და მით სირცხვილსა და დაღუპვას გადაარჩინეს როგორც ხევის სახელოვანი წარსული, ისევე მთელი საქართველოს მართალი; საქართველოში შემოსული მტერი იქნება დიდხანს ვერ მოიმაგრებდა ფეხს, მაგრამ ვინ იცის რაოდენი მსხვერპლი დაგვჭირდებოდა დიაკარში შემოჭრილ მტრის განსადევნად?!.

სამშობლოს ერთგულმა სამმა სოფელმა: სტეფანწმინდამ, სნომ და ცდომ თავისი მეთაურებით გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა, და საქართველოს მტრებს „ვაი დედა!“ აძახებინა. ეს დაუფასებელი ღვაწლი არ უნდა დაივიწყოს სამშობლომ და ხევს შესაფერი პატივი სცეს,—ძველადაც ხომ ხევი თავისუფალი იყო, როგორც საზღვრისა და კარის მცველი. ჩვენა გვწამს, რომ, როდესაც ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგება, მადლიერი სამშობლო ხევს ღირსეულ მადლობას გადაუხდის.

ჯერ ხნობით-კი აქ ვბეჭდავთ ხევის მოწინავე სოფლების ზოგიერთ მეთაურთა სურათებს მცირე ცნობებით.

ს სტეფანწმინდის მღვდელი ბართლომე ლუდუშაური, ადგილობრივი მცხოვრები, რომელსაც ერთს ხელში ჯვარი უჭირავს


მღ. ბარ. ლუდუშაური

სამშობლოს სადიდებლად, მეორეში ხმალი სამშობლოს მტერთა სამუსრავად.

12 ივლისს 1918 წ. ბოლშევიკებმა საშა გეგეჭკორის მეთაურობით დაატყვევეს და სამხედრო გზით ვლადიკავკავის ბოლშევიკურ შტაბში გაისტუმრეს სასჯელის მოსახდელად. სამს მცველს, რომლებიც მღვდელს აცილებდენ, სოფელმა დედაკაცები დაადევნა და 2000 მან. მისცემინა გამოსასყიდად მცველებმა ფულიც გამოართვეს და მღვდელიც წაიყვანეს. დარიელის ვიწრო ყელში მეზობელმა იაგორ ალბეკაშვილმა რამდენიმე ამხანაგით ამ მტარვალებს გზა მოუჭრა და სროლა აუტეხა, ორი მცველი მოკლეს, ერთმა გაქცევით თავს უშველა და მღვდელი განთავისუფლეს.



ოფიცერი ფიდო ფიცხელაური

ოფიცერი ფიდლო ფიცხელაური ს. სტეფანწმინდაში მკვიდრი მცხოვრებელი. მხურვალე მონაწილეობას დებულობდა თავისი მამით და ძმით ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს ხევში და დარიელში. თავგანწირვით იბრძოდა სამივე მამაძე, რისგამო ბოლშევიკებმა ჯავრი იძიეს და სახლი გადუწვეს.



პოლკ. ავქსენტი აბესაძე

პოლკ. ავქსენტი აბესაძე საქართველოს სამხედრო გზის დამცველი ჯარების უფროსი, რომლის ნებართვით და წინადადებით შესდგა დარიელში ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს ადგილობრივი მოხევეთაგან მოხალისეთა 2 ჯგუფი, რომელთა დახმარებით 1 ივნისს 1918 წელს სასტიკად დამარცხდენ დარიელში რუსის ბოლშევიკები: 32 მოკლეს, 68 დაუჭრეს და 27 დაატყვევეს, წაართვეს ტყვიის ფრქვეველი, თოფები და მრავალი საომარი მასალა, ჩვენ მოგვიკლეს მხოლოდ ერთი.



ანდრია კობაიძე

ანდრია კობაიძე გაზ. „საქართველოს" თანამშრომელი კალმის წვერას ფსევდონიმით, ბოლშევიკების 3000 რიცხოვანი ბრბოს გამლანძღავი ს. სიონში, ბოლშევიკებისგან დატუსაღებული და ნაცემი.



სიმონ შადური

სიმონ შადური მოხევეებისგან დიდად პატივცემული და მიღებული. ერთი გამოცდილი და ნიჭიერი მოხევეთაგანი. სამაგალითო ერთგული და მოსიყვარულე სამშობლოსი, თავდაუზოგველი მებრძოლი ბოლშევიკების წინააღმდეგ, რისგამო ცილის წამება დაიმსახურა, ვითომც მთავრობისგან სამი მილიონი მიეღოს ოქრო და იმისთვის იბრძოდეს ისე თავგანწირული.



კოლა დავითაშვილი

კოლა დავითაშვილი ს. სიონიდან, პატრიოტი მოხევე და სამშობლოს ერთგული დამცველი, მოსისხლე მტერი ბოლშევიკებისა, რომელთ წინააღმდეგ იარაღით ხელში მთელი ზაფხული იბრძოდა.*)

*) ცნობები დარიელის სხვა ყველა დამცველ გმირებისა თუმცა ხელთა გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ სურათები ვერ გვიშოვია მათი და ამიტომ ვსთხოვ იმ პირთ ვინც დარიელის ბრძოლაში და საზოგადოდ სამშობლოს დაცვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კეთილ ინებონ და თავისი ფოტოგრაფიული სურათები მოგვაწოდონ რომ მოვათავსოთ ჟურნალში. რედ.

მ უ შ ა პ ო ე ტ ი



მუშა პოეტი მიხეილ გორდაძე

გასულ მაისს თბილისში გარდაიცვალა მუშა-პოეტი მიხ. გორდაძე, რომელიც იოსებ დავითაშვილის თანამომსწრე იყო, მისი მიმდევარი. მ. გორდაძე იმ დროს სწერდა, როდესაც ჩვენს მუშა ხალხში თითებზე ჩამოითვლებოდა წერა კითხვისა მცოდნენი. მისი წერის საგანი იყო მშრომელთა ტრფიალი, სამშობლო უქვეყნის სიყვარული მჩაგვრელთა გმობა, ხალხის უკეთესი მომვალისკენ მოწოდება, ერშსაზნეო მისწრაფებათა გავრცელება.—მისი ნაწერები ცალკე წიგნად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ 1895 წ.—

## ბიბლიოგრაფიის მაგიერი

**ეშმაკის ,,წერილი სოლომან ზურგიელიძეს'',** თბ. 1919 წ. ვ. 10 მ. გამოცემა ბ. კილაძისა.

სამწუხაროდ ჩვენში მეტის-მეტად ცალმხრივად ესმით პოეზია. ჯერ იყო და გრიშაშვილზე ამბობდნენ: პოეტი არ არის, რადგანაც სულ სიყვარულზე და ქალებზე სწერსო, პოეტი ილიაა, რომელიც სამშობლოზე სწერს და უწინდელ ქართველ დედას აქებსო. მაგრამ გრიშაშვილმა გაარღვია სქელი შუბლი უმეცართა და ყველას დაანახვა, რომ ის ნამდვილი პოეტია. ახლა კიდევ, რაკი მას მოეწონეს სატრფიალო ლექსები, სხვა აღარავინა ჰგონიათ პოეტი და ყველამ დაიწყო სატრფიალო ლექსების წერა, რომელნიც მეტად დაბალი ხარისხის პორნოგრაფიაა და უგნური თავხედობა, ვიდრე მსგავსი პოეზიისა. ჩვენში აქამდე არავის ხმა არ ამოუღია და ხალხის ყურადღება არ მოუქცევია იმ დიდ ნიჭზე, რომელიც დაყუდებულია თაგუნასა და ეშმაკში. ეს ორი კაცი არამც თუ ნაკლები არიან სხვებზე ნიჭით, არამედ მეტიც...

აბა წაიკითხეთ ეშმაკის ,,წერილი სოლომან ზურგიელიძეს საიქიოს'', რა მშვენიერი, მოთასებური ლექსით არის განადიდები დღევანდელი საქართველოს ისტორია, წყნარი, ტკბილი და მწარე იუმორით არის შეზავებული მშვენიერი ლექსი. რათაც უნდა ღირს მარტო ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ჯორზე, ვირზე და ინგლისელზე. მე კრიტიკოსი არა ვარ და მას დაწვრილებით ვერ გავარჩევ, ამაზე ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, მხოლოდ ვსთხოვ ამავე საზოგადოებას, წაიკითხოს აღნიშნული წიგნი ეშმაკისა და თვითონ დარწმუნდება მის სიკარგეში: მადლობას ეტყვის, როგორც ავტორს წიგნისას, ისე ავტორს ამ წერილისას.

**მეჭედლიშვილი**

## სამშობლო.

სამშობლო! მითხარ ვინ დაამხო შენი სახე და სახელი?

ოჰ! ვიცი ვინც გიმტრო! რას გერჩოდა მტარვალი იგი შე მშვენიერო, უმანკო!

შენ ხომ არავისთვის ცუდი არ გიქმნია!

ძმანო ქართველნო, ქართველო ერო! რადა სდუმხართ, როს სთელავენ თქვენს სიამაყეს?

ჰოი ძმანო! ძმანო სამშობლოსთან ერთად ტანჯულ—დადაგულნო რა არის ჩვენი ყოფა-ცხოვრება? არ არის ჩვენთვის თავისუფლად სუნთქვა, როს ენას ჩვენსას ძვირფასს, მკვდრეთით ამდგარს უქადიან კვლავ დასამარებას.

მაშ ძმანო, მოვიკრიბოთ ძალა და დავიცვათ ჩვენი კოხტა, უმანკო სამშობლო...

სიცოცხლე ბორკილ-ახსნილი, თავისუფალი, სიკვდილი სახელოვანი.

დეე! მოვკვდეთ სახელით და ლაჩრულად არ ვუყუროთ ჩვენს სირცხვილს და ქვეყნის დანგრევას.

**ქალი ლია.**

**სახელმწიფო თეატრში** 28-5 გამართა ქართველ მომღერალთა დამფუძნებელი კონცერტი. პირველად ბ-ნ ფოცხვერაშვილის მეთაურობით სამხედრო ორკესტრმა და ხუთას ქალვაჟთაგან შემდგარ მომღერალთა გუნდმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი, შემდეგ გურულმა მომღერალ-მოთამაშეებმა ფანდურ-დოლით იმღერეს: ალიფაშა, ხელხვავი, ალილო და სხ. ყველა კილო აჩნდა სირთულე, საუცხოვო ჰანგთა მუსიკალობა.

დასასრულ გურულებმა ჩაქურ ტანისამოსში იცეკვეს დოლზედ, სამი ადამიანის ფეხის შეწყობილი, მოძრაობა მრავალ ფეროვანი ფიგურებით და სიმკვირცხლე ქმნიდა სილამაზეს. ჩვენმა შევარდნებმა რომ ეს თამაში თავიანთ პროგრამაში შეიტანონ, ჩვენის აზრით, ვარჯისობის ერთგვარ თავისებურ სილამაზეს შექმნიან, რაც სახელოვან ჩვენს შევარდნებს უფრო ასახელებს. საერთოდ კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა, ხალხი ნასიამოვნები დაიშალა და მონაწილენი მქუხარ ტაშით დააჯილდოვეს, უნდა აღვნიშნოთ ის უკმაყოფილებაც, რომელიც აქა-იქ გაისმოდა თეატრში: თუ დამფუძნებელია ეს კონცერტი, აქ რატომ არ არიან საქართველოს ყოველი კუთხის მომღერალნიო?

მიშა **მიხ. დევაძე**

**მივიღეთ კანონები** ქართულ ენაზე; 1) კანონთა კრებული 1918 წ. და 2) თამასუქის წესდება, შედგენილი არ. ახნაზაროვის მიერ. აღსანიშნავია ენის სიმარტივე, სისუფთავე და სისწორე. პირველი წიგნი ღირს 30 მან., მეორე 5 მ. ორივე წიგნი აუცილებელია როგორც მოსამართლეთათვის ისე ხალხისათვის.—სასურველია ასეთი სახე ომძღვანელი წიგნები რაც შეიძლება ბლომად გამოვიდეს და ხელმისაწვდენ ფასებში დარიგდეს ხალხში.